სამახსოვრო ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრისთვის

სამახსოვრო ინსტრუქცია განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნები

წინამდებარე რესურსი მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.



კენჭისყრის დაწყებამდე, კომისიის თავმჯდომარე, ფუნქციის შესასრულებლად გადმოგცემთ:

- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატს. კომისიის თავმჯდომარე ინდივიდუალური კოდის გამოყენებით აპარატში ხსნის ვერიფიკაციის პროცესს.

ვერიფიკაციის პროცესის გახსნისა და აპარატიდან საწყისი ანგარიშის ამსახველი ქვითრის ბეჭდვის შემდეგ (რითაც დასტურდება, რომ აპარატით არცერთი ამომრჩევლის ვერიფიკაცია არ მომხდარა), კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ერთ-ერთი რეგისტრატორი ვერიფიკაციის აპარატიდან ბეჭდავს ამომრჩეველთა სიას.
იხილეთ სქემა N1 - აპარატიდან ამომრჩეველთა სიის ბეჭდვის პროცესის ილუსტრაცია.

- 50 ცალ საარჩევნო ბიულეტენს. შეამოწმეთ შეკვრაში საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სიზუსტე და კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ხელმოწერით დაადასტურეთ მიღება-ჩაბარების აქტში;
- საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ სპეციალურ მარკერს (ამომრჩევლისთვის საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის განმარტების პროცესში საარჩევნო ბიულეტენზე ამომრჩევლის მიერ საცდელი წრის გაფერადების მიზნით);
- ორი სახის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტებს (ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლისთვის, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, გამოიყენება განსხვავებული სახის ჩარჩო-კონვერტი);
- მარკირების სითხეს;
- საწერ კალამს (ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნით);
- ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილ დალუქულ გაუმჭვირვალე ყუთს. ყუთის მიღება დაადასტურეთ ხელმოწერით ჩანაწერთა წიგნში.

კენჭისყრის დაწყების შემდეგ, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გამოყენებით ამომრჩეველს გაუწიეთ რეგისტრაციის და შემდგომ საარჩევნო ბიულეტენის გაცემის სერვისი

I. ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   1. ვერიფიკაციის აპარატში ამომრჩევლის მონაცემების ძებნა და აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობის დადასტურება

2. ამომრჩევლის მარკირება
3. ვერიფიკაციის აპარატიდან ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ბეჭდვა და ქვითარზე ამომრჩევლის მიერ ხელმოწერა

II. ამომრჩევლისათვის ბიულეტენის გაცემის პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
4. საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესისა და სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესის განმარტება
5. ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე საცდელი წრის გაფერადება
6. ამომრჩევლისთვის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის გადაცემა

I. ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცედურა:

- სთხოვეთ ამომრჩეველს წარმოგიდგინოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს თუ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას;
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (რომლებსაც არ აქვს ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი);
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტს.
- შეამოწმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა. საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონული მოწმობის წარდგენის შემთხვევაში შეამოწმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თარიღი.

ყურადღება!

თუ ამომრჩეველი წარადგენს ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ძალადაკარგულ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (ძალადაკარგულია 2011 წლის 27 ივლისის ჩათვლით გაცემული არაელექტრონული მოწმობა), მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის მიზეზს და მიუთითეთ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცემა, თუ წარმოადგენს მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

- შეამოწმეთ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათის ერთმანეთთან შესაბამისობა.
- განახორციელეთ ამომრჩევლის მონაცემების ძებნა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატში:

  ✓ ამომრჩევლის მიერ ელექტრონული პირადობის მოწმობის (ID ბარათი) წარდგენის შემთხვევაში ამომრჩეველთა მოწმობა გაატარეთ ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში (MRZ);
  ✓ ამომრჩევლის მიერ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედი არაელექტრონული (ე.წ. ლამინირებული) მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის შემთხვევაში ამომრჩევლის მონაცემების ძებნა ვერიფიკაციის აპარატში განახორციელეთ ღილაკის „ხელით ძებნა“ გამოყენებით და ამომრჩევლის პირადი ნომერი შეიყვანეთ შესაბამის საძიებო ველში (იხილეთ სქემა N2 - ვერიფიკაციის აპარატში ამომრჩევლის მონაცემების ხელით ძებნის ილუსტრაცია).

გახსოვდეთ!

თუ ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილია ისეთი ამომრჩეველი, რომელსაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში გაკეთებული იქნება აღნიშვნა „პარლ”.

- ვერიფიკაციის აპარატი პირადობის მოწმობაში არსებულ სარეგისტრაციო მონაცემებს ადარებს აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს და შესაბამისობის შემთხვევაში, აპარატს ეკრანზე გამოაქვს ამ ამომრჩევლის მონაცემები.

სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, სიაში შეყვანილი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანის ილუსტრაცია

გახსოვდეთ!

თუ ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის შემოწმებისას დადასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები (გარდა ფოტოსურათისა) შეესაბამება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩევლის სახეს და წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნევთ, აღნიშნული შეუსაბამობის დადასტურების თაობაზე მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს და დაელოდეთ მის მითითებებს. თუ კომისიის თავმჯდომარე შეუსაბამობას არ დაადასტურებს, უფლება გაქვთ, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მიუთითოთ თქვენი განსაკუთრებული აზრი, რასაც კომისიის მდივანთან ერთად ამოწმებთ ხელმოწერით. წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათთან ამომრჩევლის სახის შეუსაბამოდ მიჩნევის მიუხედავად, ამომრჩეველი იღებს მონაწილეობს კენჭისყრაში.

- ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველს გაუკეთეთ მარკირება მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე, თუ აღნიშნული მოქმედების შესრულება შეუძლებელია - მარჯვენა ხელის სხვა თითებზე, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, იმავე წესით მარცხენა ხელზე.

გახსოვდეთ!

მარკირების პროცედურის გავლაზე უარის შემთხვევაში, ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ამომრჩეველს განუმარტეთ უარის თქმის მიზეზი და სთხოვეთ დატოვოს კენჭისყრის შენობა.

ამომრჩეველს რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები (ფიზიკური მდგომარეობა) არ უკეთდება მარკირების პროცედურა.

- მარკირების პროცედურის განხორციელების შემდეგ, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდეთ ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი და სთხოვეთ ამომრჩეველს, ქვითარზე შესაბამის ველში მოაწეროს ხელი.

გახსოვდეთ!
იმ ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები (ფიზიკური მდგომარეობა), ამომრჩევლის ხელმოწერის ადგილზე, გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა" და აღნიშნული დაადასტურეთ თქვენი ხელმოწერით. უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს, ვერბალურად აუხსენით განსახორციელებელი პროცედურები. ხელით აჩვენეთ ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ხელმოწერის ადგილი.

- ხელმოწერილი ქვითარი მოათავსეთ სარეგისტრაციო მაგიდაზე განთავსებულ გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში.

ამომჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ბეჭდვა

ქვითარზე ამომჩევლის მიერ ხელის მოწერა

ქვითრის მოთავსება გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში

გახსოვდეთ!
თუ აპარატიდან არ ამოიბეჭდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი, ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნით, მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს. ამომრჩეველი, ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად, ხელს აწერს ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ აქტს, რომლის ფორმას ავსებს კომისიის მდივანი. ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი აქტი მოათავსეთ ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრებისთვის განკუთვნილ ყუთში.

ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცესში რისკების პრევენცია.

{I} თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, შესაბამისი ინფორმაცია გამოდის აპარატის ეკრანზე, იმავდროულად აპარატი გამოსცემს ხმოვან სიგნალს. ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ, რომ მოთხოვნის შესაბამისად, ამომრჩევლისთვის გათვალისწინებულია გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის სერვისი.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანის იერსახე

{II} თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში, შესაბამისი ინფორმაცია გამოდის აპარატის ეკრანზე, იმავდროულად აპარატი გამოსცემს ხმოვან სიგნალს. ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ის უნდა მივიდეს შესაბამის საარჩევნო უბანში. უბნის ნომერი და მისამართი ამომრჩეველს მიაწოდეთ ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანილი ინფორმაციის საფუძველზე.



სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანის იერსახე

{III} თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი უკვე ვერიფიცირებულია ამ საარჩევნო უბანზე, შესაბამისი ინფორმაცია გამოდის აპარატის ეკრანზე და აპარატი გამოსცემს ხმოვან სიგნალს. ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ, დატოვოს კენჭისყრის შენობა.



ორმაგი ვერიფიკაციის მცდელობის შესახებ ინფორმაციის ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანის იღუსტრაცია

II. ამომრჩეველზე საარჩევნო ბიულეტენის გაცემის პროცედურა:

- ამომრჩევლის ვერიფიკაციის/რეგისტრაციის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესი:

„საარჩევნო ბიულეტენი იყოფა ორ სვეტად, საარჩევნო ბიულეტენის პირველ სვეტში შეტანილია საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები და სახელწოდებები, მეორე სვეტში შეტანილია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი კანდიდატის/ კანდიდატების რიგითი ნომერი, სახელი, გვარი და წარმდგენი სუბიექტის სახელწოდება“.|
ხმის მისაცემად საარჩევნო ბიულეტენის პირველ და მეორე სვეტში სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე. საარჩევნო ბიულეტენი არ გადაკეცოთ და შევსებული ბიულეტენი მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის მიზნით“.

გახსოვდეთ!

თუ ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანილ ამომრჩევლის მონაცემებში, სტატუსში მითითებულია ჩანაწერი „პარლ“, განუმარტეთ ამომრჩეველს, რომ იგი მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში. აღრიცხეთ ასეთი ამომრჩევლების ჯამური რაოდენობა, რაც საბოლოოდ შეიტანება ჩანაწერთა წიგნში. ამომრჩევლისთვის გამოიყენება განსხვავებული სახის ჩარჩო-კონვერტი.

ამომრჩეველს განუმარტეთ, რომ მან უნდა გააფერადოს მხოლოდ პირველ სვეტში არსებული მისთვის სასურველის მხოლოდ ერთი სუბიექტის წინ არსებული შესაბამისი წრე. საარჩევნო ბიულეტენის მეორე სვეტში ამომრჩეველმა არ უნდა განახორციელოს დადგენილი წესით ხმის მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენი ჩაითვლება გაფუჭებულად.

საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესის განმარტების შემდეგ, სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოათავსეთ საარჩევნო ბიულეტენი ისე, რომ სრულად დაიფაროს საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალი.

- ამომრჩეველს მიუთითეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის ზედა მხარეს გააფერადოს საცდელი წრე.

სპეციალური ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის ზედა მხარეს განთავსებული საცდელი წრე

ყურადღება!
უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს მიაწოდეთ ინფორმაციას საარჩევნო ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ და განუმარტეთ სპეციალური ჩარჩო/ფორმის გამოყენებისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი. უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენი გადაეცით ისე, რომ ის მოთავსებული იყოს ბიულეტენის შესავსებ სპეციალურ ჩარჩო/ფორმაში. საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ ჩარჩო/ფორმაში არსებული ყოველი წრიული ჭრილი უნდა ემთხვეოდეს ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგით ნომრების წინ არსებულ წრეს. უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს გააფერადებინეთ ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებული საცდელი წრე.
მცირემხედველ ამომრჩეველს შესთავაზეთ გამადიდებელი ლინზა და აუხსენით მისი გამოყენების წესი.

- ამომრჩეველს გადაეცით სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი და განუმარტეთ, რომ საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოათავსოს იმგვარად, რომ საარჩევნო ბიულეტენის მხარე, რომელზეც განთავსებულია საცდელი წრე, მოექცეს ქვემოთ. ამის შემდეგ, მიუთითეთ გადაინაცვლოს ფარული ხმის მიცემის კაბინაში.

ყურადღება!
ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, ამომრჩევლისთვის იცვლება მხოლოდ ძირითად საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების პროცედურა. შესაბამისად, ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის შევსების და ძირითად საარჩვნო ყუთში მოთავსების წესი: „ხმის მისაცემად საარჩევნო ბიულეტენში სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი სუბიექტის წინ არსებული წრე. შევსებული საარჩევნო ბიულეტენი გადაკეცეთ ისე, რომ არ ჩანდეს, ვის მიეცით ხმა. საარჩევნო ბიულეტენი გადაკეცილ მდგომარეობაში, მოათავსეთ ძირითად საარჩევნო ყუთში“.

რეგისტრატორის ფუნქციებთან დაკავშირებული სხვა საკითხები

I. ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა
კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს ეკრძალებათ ვერიფიკაციის აპარატებში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება (მათ შორის, ფოტოვიდეოგადაღება, შეგროვება, ჩაწერა, შენახვა), გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა ან/და გავრცელება. აღნიშნული აკრძალვა ვრცელდება ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამომრჩევლის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება აუცილებელია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და ცესკოს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფისთვის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, რეაგირებისთვის მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს.

II. კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა
კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ერთ-ერთი რეგისტრატორი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან 10:00, 12:00, 15:00, 17:00 საათზე ბეჭდავს ამომრჩეველთა აქტივობის ამსახველ ქვითარს/ანგარიშს.

კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ამსახველი საბოლოო ქვითარი/ანგარიში იბეჭდება კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ.

იხილეთ სქემა N3 - ამომრჩეველთა რაოდენობის (აქტივობის) ამსახველი ქვითრის/ანგარიშის ბეჭდვის პროცესის ილუსტრაცია.

სქემა N1. აპარატიდან ამომჩევლთა სიის ბეჭდვის პროცესის იდუსტრაცია

{I}

ამომჩევლთა სიის ბეჭდვის მენიუში გადასასვლელად ოპერატორი აჭერს ღილაკს „მენიუში დაბრუნება“.



{II}

მენიუში ოპერატორი აჭერს ღილაკს „ამომჩევლთა სია“.



{III}

ოპერატორი აჭერს ღილაკს „ბეჭდვა“ და შედეგად იბეჭდება ამომჩევლთა სია.

სქემა N2. ვერიფიკაციის აპარატში ამომჩევლის მონაცემების ხელით ძებნის იდუსტრაცია

ყურადღება!
ვერიფიკაციის აპარატში ამომრჩევლის მონაცემების ხელით ძებნის ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში, რეგისტრატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ აპარატის საძიებო ველში შეტანილი ამომრჩევლის პირადი ნომერი შეესაბამება ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელ დოკუნენტში მოცემულ პირად ნომერს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს ღილაკი „მოძებნე“.

სქემა N3. ამომჩევლეთა ჩაოდენობის (აქტივობის) ამსახველი ქვითრის/ ანგარიშის ბეჭდვის პროცესის იდუსტრაცია

{I}

ამომჩევლეთა აქტივობის ბეჭდვის მენიუში გადასასვლელად ოპერატორი აჭერს ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებულ მენიუს

{II}

მენიუში ოპერატორი აჭერს ღილაკს „ამომჩევლეთა აქტივობა“.

{III}

ოპერატორი აჭერს ღილაკს „აქტივობის ქვითრის ბეჭდვა“ და შედეგად იბეჭდება ამომჩევლეთა აქტივობის ამსახველი ქვითარი.

სამახსოვრო ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრისთვის

გამოიყენება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში.

ვერიფიკაციის აპარატების გარეშე ამომრჩევლებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის სერვისის განსახორციელებლად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კენჭისყრის შენობაში სამუშაო გარემოს შესაბამის ადაპტირებას:

- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებს ანაცვლებს საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა ერთიანი სიებით - გადმოგცემთ ანბანური თანმიმდევრობით დაყოფილი ამომრჩეველთა ერთიანი სიას (სამაგიდე სია ფოტოსურათებით) და რეგისტრატორის სახაზავს. ერთ-ერთ რეგისტრატორს აგრეთვე გადაეცემა ამომრჩეველთა სპეციალური სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- კომისიის თავმჯდომარის მითითებით სარეგისტრაციო მაგდასთან რეგისტრატორები აკრავენ გადაცემული ერთიანი სიის შესაბამისად ამომრჩეველთა რიგითი ნომრებისა და გვარების ანბანური თანმიმდევრობას.

I. ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცედურა:

- სთხოვეთ ამომრჩეველს წარმოგიდგინოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს თუ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობას;
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონული მოწმობას (რომლებსაც არ აქვს ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი);
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტს.
- შეამოწმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა. საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონული მოწმობის წარდგენის შემთხვევაში შეამოწმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თარიღი.

ყურადღება!
თუ ამომრჩეველი წარადგენს ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ძალადაკარგულ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (ძალადაკარგულია 2011 წლის 27 ივლისის ჩათვლით გაცემული არაელექტრონული მოწმობა), მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის მიზეზი და მიუთითეთ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცემა, თუ წარმოადგენს მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

- შეამოწმეთ, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი ამომრჩეველთა სიაში არსებულ ნომერს.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა.

გახსოვდეთ!
ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს, თუ ამომრჩეველთა შესაბამის სიაში საქართველოს მოქალაქის პირად ნომერთან, სქესთან და ფოტოსურათთან ერთად, სრულად ემთხვევა ქვემოთ ჩამოთვლილ მონაცემთაგან 3 მაინც:
✓ სახელი;
✓ გვარი;
✓ დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
✓ მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, რომელიც მოიცავს აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრაციის ადგილს).

- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათის და ამომრჩევლის სახის ერთმანეთთან შესაბამისობა.

გახსოვდეთ!
თუ ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შემოწმებისას დადასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები (გარდა ფოტოსურათისა) შეესაბამება ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩევლის სახეს და წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნევთ, აღნიშნული შეუსაბამობის დადასტურების თაობაზე მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს და დაელოდეთ მის მითითებებს. თუ კომისიის თავმჯდომარე შეუსაბამობას არ დაადასტურებს, უფლება გაქვთ, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მიუთითოთ თქვენი განსაკუთრებული აზრი, რასაც კომისიის მდივანთან ერთად ამოწმებთ ხელმოწერით. წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათთან ამომრჩევლის სახის შეუსაბამოდ მიჩნევის მიუხედავად, ამომრჩეველი იღებს მონაწილეობს კენჭისყრაში.

- ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველს გაუკეთეთ მარკირება მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე, თუ აღნიშნული მოქმედების შესრულება შეუძლებელია - მარჯვენა ხელის სხვა თითებზე, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, იმავე წესით მარცხენა ხელზე.

გახსოვდეთ!
მარკირების პროცედურის გავლაზე უარის შემთხვევაში, ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ამომრჩეველს განუმარტეთ უარის თქმის მიზეზი და სთხოვეთ, დატოვოს კენჭისყრის შენობა.
ამომრჩეველს რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები (ფიზიკური მდგომარეობა) არ უკეთდება მარკირების პროცედურა.

- მარკირების პროცედურის განხორციელების შემდეგ, ხელი მოაწერეთ ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში და მიუ-

თითეთ ამომრჩეველს სიაში ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.

გახსოვდეთ!
იმ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები (ფიზიკური მდგომარეობა), ამომრჩევლის ხელმოწერის ადგილზე, გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა" და აღნიშნული დაადასტურეთ თქვენი ხელმოწერით.
უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს, ვერბალურად აუხსენით განსახორციელებელი პროცედურები. ხელით აჩვენეთ ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერის ადგილი.

ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცესში რისკების პრევენცია.

{I} თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველმა, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, ხელი უნდა მოაწეროს იმავე გრაფაში. აღნიშნულის თაობაზე უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის ერთიან სიაში რიგითი ნომრის, სახელისა და გვარის მითითებით).

{II} თუ დაფიქსირდა, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში, ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად იგი უნდა მივიდეს შესაბამის საარჩევნო უბანში.

{III} თუ დაფიქსირდა, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, ასეთ ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ, რომ მოთხოვნის შესაბამისად, ამომრჩევლისთვის გათვალისწინებულია გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის სერვისი.

II. ამომრჩეველზე საარჩევნო ბიულეტენის გაცემის პროცედურა:

- ამომრჩევლის ვერიფიკაციის/რეგისტრაციის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესი:

„საარჩევნო ბიულეტენი იყოფა ორ სვეტად, საარჩევნო ბიულეტენის პირველ სვეტში შეტანილია საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები და სახელწოდებები, მეორე სვეტში შეტანილია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი კანდიდატის/ კანდიდატების რიგითი ნომერი, სახელი, გვარი და წარმდგენი სუბიექტის სახელწოდება“. ხმის მისაცემად საარჩევნო ბიულეტენის პირველ და მეორე სვეტში სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე. საარჩევნო ბიულეტენი არ გადაკეცოთ და შევსებული ბიულეტენი მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის მიზნით“.

გახსოვდეთ!

თუ სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის მონაცემებში, სტატუსში მითითებულია ჩანაწერი „პარლ“, განუმარტეთ ამომრჩეველს, რომ იგი მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში. აღრიცხეთ ასეთი ამომრჩევლების ჯამური რაოდენობა, რაც საბოლოოდ შეიტანება ჩანაწერთა წიგნში. ამომრჩევლისთვის გამოიყენება განსხვავებული სახის ჩარჩო-კონვერტი.

ამომრჩეველს განუმარტეთ, რომ მან უნდა გააფერადოს მხოლოდ პირველ სვეტში არსებული მისთვის სასურველის მხოლოდ ერთი სუბიექტის წინ არსებული შესაბამისი წრე. საარჩევნო ბიულეტენის მეორე სვეტში ამომრჩეველმა არ უნდა განახორციელოს დადგენილი წესით ხმის მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენი ჩაითვლება გაფუჭებულად.

- საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესის განმარტების შემდეგ, სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოათავსეთ საარჩევნო ბიულეტენი ისე, რომ სრულად დაიფაროს საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალი.
- ამომრჩეველს მიუთითეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის ზედა მხარეს გააფერადოს საცდელი წრე.



სპეციალუხ ჩახჩო-კონვეიტტში მოთავსებული საახჩევნო ბიულეტენის ზედა მხახეს განთავსებული საცდელი წრე

ყურადღება!

უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს მიაწოდეთ ინფორმაციას საარჩევნო ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ და განუმარტეთ სპეციალური ჩარჩო/ფორმის გამოყენებისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი. უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენი გადაეცით ისე, რომ ის მოთავსებული იყოს ბიულეტენის შესავსებ სპეციალურ ჩარჩო/ფორმაში. საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ ჩარჩო/ფორმაში არსებული ყოველი წრიული ჭრილი უნდა ემთხვეოდეს ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგით ნომრების წინ არსებულ წრეს. უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩეველს გააფერადებინეთ ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებული საცდელი წრე.

მცირემხედველ ამომრჩეველს შესთავაზეთ გამადიდებელი ლინზა და აუხსენით მისი გამოყენების წესი.

- ამომრჩეველს გადაეცით სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი და განუმარტეთ, რომ საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოათავსოს იმგვარად, რომ საარჩევნო ბიულეტენის მხარე, რომელზეც განთავსებულია საცდელი წრე, მოექცეს ქვემოთ. ამის შემდეგ, მიუთითეთ გადაინაცვლოს ფარული ხმის მიცემის კაბინაში.

ყურადღება!
ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, ამომრჩევლისთვის იცვლება მხოლოდ ძირითად საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების პროცედურა. შესაბამისად, ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის შევსების და ძირითად საარჩვნო ყუთში მოთავსების წესი: „ხმის მისაცემად საარჩევნო ბიულეტენში სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი სუბიექტის წინ არსებული წრე. შევსებული საარჩევნო ბიულეტენი გადაკეცეთ ისე, რომ არ ჩანდეს, ვის მიეცით ხმა. საარჩევნო ბიულეტენი გადაკეცილ მდგომარეობაში, მოათავსეთ ძირითად საარჩევნო ყუთში“.

რეგისტრატორის ფუნქციებთან დაკავშირებული სხვა საკითხები

I. ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს ეკრძალებათ ამომრჩეველთა სამაგიდო სიაში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება (მათ შორის, ფოტოვიდეოგადაღება, შეგროვება, ჩაწერა, შენახვა), გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა ან/და გავრცელება. აღნიშნული აკრძალვა ვრცელდება ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამომრჩევლის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება აუცილებელია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და ცესკოს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფისთვის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, რეაგირებისთვის მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს.

II. კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა

კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენა ხდება 10:00, 12:00, 15:00, 17:00 საათზე. კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაო-

დენობის მონაცემები დგინდება კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ.

კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებით, კენჭისყრის პროცესისთვის ხელის შეუშლელად, ასევე ფუნქციის დროებით გადაცემის შემთხვევაში, გადაითვალეთ ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა (თქვენს მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით) და ასევე თქვენს მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით). გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის დადგენა შესაძლებელია მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობასთან თქვენთან დარჩენილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის შედარებით.

თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, დაუყოვნებლივ დაწერეთ ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები გაითვალისწინება კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის მიზნებისთვის.